სამშაბათი, 1918 წ. მაისის 21 № 96

ყოველდღიური გაზეთი

სამშაბათი, 1918 წ. მაისის 21 № 96

ფასი თბილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 35 კაპ.

# საქართველო

**რედაქცია**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოდ გამოგზავნილი მასალა უფასოთ იბეჭდება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადად მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

**კონტორა**

პირველ გვერდიდან ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ ნაღდ ფულით და ღირებულება—18 მ. 5 თვეში (წლიურად ქალაქში) 6 მ. და 50 კ. ცალკე № 30 კ. განცხადებების ფასი სტრიქონის პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოეულ ზომით: 20×2—15 მანეთი, 30×2—20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 1 მან. ქალაქს გარეთ 1 მ. და 50 კ. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. სასწრაფო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს.მდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. Телеграфный адресъ: Тифлисъ. Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

## საგულისხმიერო ცნობები

ამერიკიდან ბელგიელების დასახმარებლად წამოსული გემი „ფოლე" გზაზე ნაღმს წააწყდა და ჩაიძირა.—ინგლისში პარლამენტის ზოგიერთი წევრები შეიპყრეს.—ხმებია კოალიციამ სახალხო კომისართა საბჭოს ბრესტის ხელშეკრულების გაუქმება და გერმანელებისადმი ომის გამოცხადება მოსთხოვესო.—დერბენტი, პეტროვსკ-პორტი და ხაჩბასი ასტრახანიდან მოსულ ბოლშევიკებს აუღიათ.—წითელგვარდიელებმა სოხუმი აიღეს.

ვასილი და ნიკიფორე ალექსის ძენი, პოპლე თედორეს ასული, ნატალია ილიას ასული და სიდონია ეკლტეს ასული შეილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ, ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას

**ვარვარე ივანეს ასული**

**ხომასურიძისას**

პირველთა დედის, მეორისი დედამთილის და მესამისა—რძლის. დაკრძალვა მოხდება სამშაბათს 21 მაისს წმიდა ნინოს სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 5 საათზე. მიცვალებულს გამოასვენებენ საკუთარი სახლიდან „ვაკე", პირველი უბანი, დილის 9 საათზე წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში (ვერაზე) სადაც გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი.

1—1

ხუთშაბათს, 24 მაისს, სიონის საკათედრო ტაძარში გარდახდილ იქმნება ორმოცი დღის პანაშვიდი, ქრმნილში ტრაგიკულად მოკლულ

**ალექსანდრე კეზელისა**

1—1622—1

მაისის 18 დილის 5 საათზე უეცრად გარდაიცვალა

**ერმოლ ადამის ძე ყორანგოზოვი**

რასაც მწუხარებით აუწყებენ გარდაცვალებულის ძმისწულები და დისწულები. გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოს პატარა ეკლესიიდან მაისის 21-ს, დილის 9 ს. მიცვალებულს დაასვენებენ დიდუბის ეკლესიაში. დაკრძალვა დიდუბის ეკლესიის სასაფლაოზე.

1—1

## ფინანსიური მდგომარეობა

რაც დრო გადის მით უფრო იწვევა ამიერ კავკასიის ფინანსები, როგორც მოსალოდნელი იყო ბონების გამოშვებამ მანეთის კურსის კატასტროფიული დაცემა გამოიწვია. ბოლო დროს ამას ზედ დაერთო წვრილი ფულის გაქრობა, რაიცა თავის მხრივ ადებმიცემობის მოდუნებას და შეჩერებას იწვევს, ალაგ-ალაგ პროვინციაში დიდის ეჭვით უცქერიან თბილისის კომისარიატის ბონებს.

ბონები ასე ვსთქვათ ქაღალდის ფულის მიამდგილეა. მაგრამ თვით ქაღალდის ფულს უზრუნველყოფა სჭირდება. სახელმწიფო ბანკის საემისიო უფლება განუსაზღვრელი არ არის, ის ოქროს ფონდზეა დამოკიდებული. ამიერ კავკასიის რესპუბლიკას ჯერ ჯერობით ოქროს ფონდი არ გააჩნია, ამიტომ ბონების ბეჭდვას სრულიად თვითნებური ხასიათი აქვს. ფინანსიური კონტროლი ყოველი პარლამენტის უმნიშვნელოვანეს უფლებას წარმოადგენს, თბილისის სეიმს არსებითად არ შეუძლია ამ უფლების გამოყენება, მიტომ რომ მთავრობას ჯერ კიდევ არ შეუმუშავებია სახელმწიფო ბიუჯეტი. სამინისტრო სეიმში დროგამოშვებით ამა თუ იმ თანხის გაცემას შუამდგომლობს, სეიმი ჩვეულებრივ უკამათოდ ამტკიცებს ასეთ შუამდგომლობას.

სახელმწიფო ხარჯების უკონტროლობას ზედ ერთვის სახელმწიფო შემოსავლის წყაროების სრული დაშრეტა. ძველ გადასახადებს არავინ იხდის: ბუნებრივია, რომ გლეხკაცობამ სოციალისტების გამინისტრება ისე გაიგო თითქო მისთვის სრულიად საჭირო აღარ იყოს სახელმწიფო გადასახადების გადახდა; დღევანდელი მთავრობის წევრების აგრინდელი დემაგოგიური მოღვაწეობა უწინარეს ყოვლისა გადასახადების სისტემის კრიტიკაზე იყო დაფუძნებული. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ თუმცა ძველი სისტემა მოიშალა, ახალის შესაქმნელად მთავრობამ ვერავითარი შემოქმედებითი ნიჭი ვერ გამოიჩინა. შემოსავლის მიხედვით პროგრესიული გადასახადის შემოღება პოლიტიკურად რჩება, მაგრამ თუნდაც განხორციელდეს, დიდს შემოსავალს არ უქადის სახელმწიფოს: პროგრესიულ გადასახადს მხოლოდ ინდუსტრიალურად განვითარებულ ქვეყნებში აქვს მნიშვნელობა, ისე ჩამორჩენილ, სამიწადმოქმედო ქვეყანაში, როგორიც ამიერ-კავკასიაა, მას არ ძალუძს სახელმწიფო ბიუჯეტის საფუძვლად გადაქცევა.

თავისთავად ცხადია, რომ ასეთი მდგომარეობა დიდად სახიფათოა ჩვენი ქვეყნისთვის. რაც დრო გადის, მით უფრო ვიწროვდება ეგრედ წოდებული ამიერ კავკასიის საზღვრები: ამასთან ერთად იზრდება რესპუბლიკის ვალები. თუ დღემდე მთავრობას სამასი მილიონი მანეთის ბონები აქვს დაბეჭდილი, საჭიროა დაახლოებით 150 მილიონი ოქროს სესხება, რომ მანეთის კურსი ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს. საერთოდ, მცოდნე პირების აზრით, ჩვენს სახელმწიფოს ნახევარი მილიარდის ოქრო მაინც დასჭირდება საკუთარი ვალიუტის შესაქმნელად.

რადგან ოქროს მადნები არ გაგვაჩნია, იძულებული ვიქნებით საგარეო სესხს კი მივმართოთ. საგარეო სესხს კი გარანტია სჭირია. ახალგაზრდა სახელმწიფოს არავინ ენდობა, თუ მას რაიმე ქონება არ ექნება ვალების უზრუნველსაყოფად. ამ მხრივაც ჩვენი მდგომარეობა მეტის მეტად უნუგეშოა, დემაგოგიური მთავრობის წყალობით. სოციალისტური სამინისტრო უფასოდ არიგებს ჩამორთმეულ მიწებს, სახაზინო ტყეები და საუფლისწულო მამულები ნადგურდება. მართალია ამიერ კავკასიაში მოიპოვება შავი ქვის, ნავთის და სპილენძის მადნები, რომელიც საკმაო გარანტიას წარმოადგენს საგარეო სესხისათვის, მაგრამ ამ მადნების ნაციონალიზაცია შეუძლებელია, რადგან უდიდესი ნაწილი უცხოელების ხელშია გადასული.

ზემო ნათქვამიდან ცხადია, რამდენად კრიტიკულია ამიერ კავკასიის ფინანსიური მდგომარეობა. მოსალოდნელია, რომ დღევანდელი მთავრობა ჩქარა წავა სცენიდან, მაგრამ ქვეყანა დიდხანს მწვავედ იგრძნობს მისი მოღვაწეობის შედეგებს.

## რუსეთი იღვიძებს

მხოლოდ პოლიტიკურად მოუმზადებელი და შეუგნებელი ერი მოახდენს რევოლიუციას ამ გადამწყვეტ მსოფლიო ომში—სწერა და გერმანეთის სოციალ-დემოკრატიის ოფიციალური ორგანო „ფორვერტსი" 1917 წლის თებერვლის აჯანყების გამო, რითაც საკმაოდ გამოარკვია რუსეთის რევოლიუციის შინაარსი და საერთო მიმდინარეობა. ეს „კომპლიმენტი" რუსეთმა სამართლიანად დაიმსახურა, განსაკუთრებით ოქტომბრის ამბოხების შემდეგ, ბოლშევიკები რომ მოექცნენ სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სათავეში და „აპირებდნენ" სოციალურ „ექსპერიმენტების" მოწყობას „მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოების" აქტიურ დახმარებით.

რამდენიმე თვის განმავლობაში სოციალისტურ ბურჟში ყოფნამ თვით ბოლშევიკებიც—კი დაარწმუნა, რომ, არამც—თუ სოციალური რევოლიუცია, არამედ ცოტად თუ ბევრად შესამჩნევი სოციალური რეფორმაციაც ნიადაგს ვერ ჰპოვებს ჩამორჩენილ რუსეთში. სოციალისტურმა ექსპერიმენტებმა ბელადების ნაცვლად საშინელი ეროვნული კატასტროფა მიაყენა რუსეთის იმპერიას, მთლად დააქუცმაცა და დაანაწილა უდიდესი სახელმწიფო და, ამავე დროს მაინც, გამოარცხა პირველხარისხოვან სახელმწიფოთა რიცხვიდან.

როგორც მოსალოდნელი იყო, ეროვნულ თავდაცვის ინსტინქტმა გაიღვიძა რუსის ხალხში. ბოლშევიკურმა მთავრობამ იგრძნო, რომ დადგა შესაფერი და ხელსაყრელი დრო ეროვნულ სახელმწიფოებრივ პოლიტიკისა; ამას მოითხოვს რუსის ერში მომხდარი რეაქცია, რომლისთვის ბოლშევიკებს ანგარიში უნდა გაეწიათ, თუ სურთ სახელმწიფოს აპარატის ხელში შენარჩუნება და პოლიტიკური ცხოვრების გაძღოლა. ამ ცხოვრ მეტად დამახასიათებელია ბოლშევიკური მთავრობის მეთაურების გამოსვლა: წინა წერილში ჩვენ აღვნიშნეთ ერთი მათგანის—საგარეო საქმეთა რწმუნებულის ჩიჩერინის დიპლომატიური წარდგენა ბერლინში, რომელიც მიმართული იყო ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. ბოლშევიკურ-სოციალისტური რუსეთის მინისტრი მოითხოვდა, რომ ამიერკავკასია როგორც რუსეთის რესპუბლიკის, განუყოფელ ნაწილს, არ ეწარმოებინა სეპარატიული სახავო მოლაპარაკება ცენტრალ ევროპის სახელმწიფოებთან; ჩიჩერინი ეჭვის დაუბადებლად გამოსთქვამდა იმ აზრს, რომ რუსეთი სრულებით არ გამოსთხოვდება ძველს შეხედულებას ამიერ-კავკასიაზე, როგორც რუსეთის ჩვეულებრივ პროვინციაზე.

მაგრამ ყოველს მოლოდინს გადააჭარბა ტროცკის და ლენინის საჯარო განცხადებებმა: ბოლშევიზმის სულის ჩამდგმელები რუსეთის აღორძინებაზე ზრუნავენ. სოციალისტურ უტოპიის განადგურებაზე მათ დიდებით მაინც უნარი სთქვეს და მოითხოვენ ბურჟუაზიასთან შეთანხმებულ, „საქმიან" თანამშრომლობას. ეს აზრი თავის თავად გასაგები და მისაბაძველი უზომო მნიშვნელობას იძენს ბოლშევიკების განცხადების შემდეგ. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ იწყება ახალი ხანა რევოლუციურ რუსეთის ცხოვრებაში. ბოლშევიკები ჰფიქრობენ აამუშაონ მთელი რუსეთი, ეროვნული თავდაცვის საჭიროება ჩაუნერგონ მასას, რომ ფეხზე წამოაყენონ ძლიერ რუსსად მისუსტებული სახელმწიფო. ტროცკი პირდაპირ გამოსთქვამს, რომ მოიწვევს სახელმწიფოს დაწესებულებებში საჭირო სპეციალისტებს, მიუხედავად მათი კონსერვატიული მისწრაფებისა.

რუსეთში გამოფხიზლების ნიშნები უტყუარადა სჩანს. ნორმალ პირობებში და შესაფერის დროს ეს ფაქტი თანაგრძნობის მეტს არაფერს გამოიწვევდა, ვინაიდგან ხალხთა თავდაცვა და კულტურის უზრუნველ ყოფა მოითხოვს ანარქიისა და ნგრევის ჩაქრობას და დარღვეულ წესიერების აღდგენას, მით უმეტეს მეზობელს სახელმწიფოში, საიდგანაც განმანადგურებელი სტიქიონი ადვილად უწევს ჩვენამდის.

რუსეთის ეროვნული აღორძინება სულ სხვა ხასიათისა და შინაარსისაა. ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მუშაობის დაწყება რუსეთში ეძლევა პირველიდა იმპერიალისტური დახასიათება. რუსეთი ლამობს კვლავ შეიერთოს განდგომილი ერები და კუთხეები და ამ მიზნის მისაღწევად არ დაერიდება არავითარ საშუალებას და ღონისძიებას. კერძოდ, ამიერ-კავკასიის დაპყრობისათვის საიდუმლოდ რუსეთში აწყობენ „დამსჯელ კორპუსს", რომელსაც, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ჰმეთაურობენ ცნობილი სამხედრო პირნი და დახელოვნებული სპეციალისტები, თუ გნებავთ, რუსეთი ფაქტიურადაც და ოფიციალურადაც გვჩუქნება ჩვენ: ბოლშევიკებისაგან ბაქოსი და საქართველოს შავი ზღვის ნაპირების აკლება ბრმებსაც დაანახვებს სოციალისტურ რუსეთის განზრახვებს. კავკასიის დაპყრობა რუსეთში გადაწყვეტილია. ზოგიერთ მიკუთვნილია, სოლო გაერთიანებული მინისტრი მდგომარეობა და უფრო—კი საერთაშორისო მდგომარეობა არ აძლევს რუსეთს შეძლებას განახორციელოს დასახული მიზანი.

ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადება, უნდა ვიფიქროთ, არ იყო სახუმარო აქტი, ან მოკავშირეების საკაბინეტო პოლიტიკური ნაბიჯი. ამიერ-კავკასიის ხალხთა ნებისყოფამ შეგნებულად მოიშორა რუსეთის ავტორიტეტი და შეუდგა საკუთარი სახელმწიფოს მოწყობას. ამასადამე, სრულიად დამშვიდებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ რუსეთის გამოლაშქრება მოუხდება სუვერენულ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც იძულებული შეიქნება მტრის დასამარცხებლად ძლიერი მოკავშირე გამოძებნოს. ამიერ-კავკასიის განთავისუფლებულ ხალხს რუსეთის აღდგენა და ეროვნული თავმოყვარეობის გაღვიძება ასიამოვნებს, მაგრამ იმას კი ვერ შეურიგდება, რომ ამ ფაქტს შედეგად მოჰყვეს ჩვენი ქვეყნის განმეორებითი ოკუპაცია. მტრად მოსულ რუსეთს ჩვენი ხალხი გადაჭრილ და რადიკალური ზომებით დაუხვდება.

რ. ინგილო.

## ზავის გარშემო

ზავი 60 დღეზე.

ვაშინგტონიდან ფრანგულ გაზეთებს აუწყებენ: ამერიკის სენატში დაიწყო ფრიად საყურადღებო მსჯელობა ერთა კავშირის შესახებ. სენატორი ლუენი შეტანილ წინადადებით აფორებს ვ ლსონს წინადადება მისცეს საფრანგეთს, ინგლისს, იტალიას და იაპონიას, რომ შეერთებულ შტატებთან კავშირში შევიდნენ. ხსენებული სახელმწიფონი წინადადებას მისცემენ გერმანიას 60 დღის განმავლობაში შეჰკრან ზავი. წინააღმდეგ შემთხვევაში გერმანეთი 5 წელი მოკლებული იქნება მსოფლიო ბაზას.

## ომი

ესტონეთის ლაშქარი.

რეველიდან პეტროგრადს ცნობა მოუვიდათ: გერმანელები სასწრაფოდ აწყობენ ესტონეთის ლაშქარს, რათა თავიანთ ნაწილების დასავლეთ ფრონტზე გადაყვანის შეძლება მიეცათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსეთი

**ბრძოლა ანარქისტებთან**

პეტროგრადის მუშათა და წითელ ლაშქართა დეპუტატების საბჭოში აპრილის 27 განიხილეს საკითხი ანარქისტების იარაღის აყრის შესახებ. საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც იწონებს ანარქისტების წინააღმდეგ მიმართულ საბჭოს მოქმედებას.

**სოფელი სოფლის წინააღმდეგ**

სარატოვის გუბერნიის ხვალინის მაზრაში თვითეული სოფელი დამოუკიდებლად ცხოვრობს. ზოგიერთ სოფელს ბევრი პური აქვს, ზოგი კი სიმშილით სწყდება. პურს ერთი ერთმანეთს არ ასყიდებენ. კომიტეტები ვერავითარ ზომებს ვერ დებულობენ. ამის გამო დამშეული გლეხები ხშირად ესხმიან პურით მდიდარ სოფლებს, რის გამო ბრძოლაც ჩნდება.

**პეტროგრადის პური**

პეტროგრადის სასურსათო საბჭოს ცენტრალ გამგეობის დადგენილებით პეტროგრადის მცხოვრებლებს პირველ მაისიდან სულზე ¼ გირვანქა პური უნდა მიეცეთ. აქამდის ნაკლები ეძლეოდათ. („ნარ. სლ.“).

**ქალების სოციალიზაცია.**

**ხარკოვი.** აქ შემუშავებული, ქალების სოციალიზაციის პროექტი მიიღეს ზოგიერთ ანარქისტულ და საბჭოების წრეებში. როგორც გამოირკვა პროექტი შეუმუშავებია ცნობილ შავ-რაზმელ უვაროვს. პროვოკაციის მოთავეებიდან გამოსულმა ანარქისტებმა უვაროვი სიკვდილით დასაჯეს. („ნაროდ. სლ.“

**კრილენკოს კომისიაში**

პირველ რიგში განიხილავენ პროვოკატორების საქმეს, ჯერ განიხილავენ დობროვსკის და პროვოკატორ რომანოვის საქმეს. შემდეგ დიბენკოსა და შავი ზღვის ფლოტის ყოფილ კომისრის სპიროს საქმეს და დასასრულ მეფის დროს წარჩინებულ პირთა და კერენსკის დროებით მთავრობის წევრთა პროცესებს.

**დაავადმყოფებული ორთქლმავლები**

მინსკში გერმანელებს ყურადღება მიუქცევიათ მრავალ დაავადმყოფებულ ორთქლმავლისთვის და მათ შეკეთებას შესდგომიან. გამოსცეს ბრძანება: ის ორთქლმავლები, რომლის გასაკეთებლად კომიტეტების მიერ მოცემული ვადა ორი თვე იყო—უნდა გააკეთოთ ორ კვირაზე“. მართლაც ყველა ორთქლმავალი მუშებმა ორ კვირაზე გაამზადეს.

**პოლკოვნიკ მურავიოვის საქმე**

პოლკოვნიკ მურავიოვის საქმის გასარჩევად შესდგა საგამომძიებლო კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობს კრილენკოს ცოლი, ქ-ნი როზმიროვიჩი.

**ავსტრიის დელეგაცია პეტროგრადში**

პეტროგრადში ჩამოვიდა ავსტრიის დელეგაცია ტყვეების გასაცვლელად.

**კორნილოვი**

ეკატერინოდარი ჯერ-ჯერობით ბოლშევიკების ხელშია. კორნილოვი ცოცხალია. მისი რაზმი 18 ათას ჯარისკაცისაგან შესდგება. ეკატერინოდარში დაჟინებით ლაპარაკობენ, რომ სახალხო კომისართა საბჭოს განზრახული აქვს კორნილოვთან მოლაპარაკების დაწყებამო.

## გერმანელ აიდამაკელების შემოტევა

**ჩრდილო კავკასიის სამხედრო-სარევოლუციო ჯარების მთავარ სარდლის დეპეშა**

კავკასიის საბჭომ შემდეგი დეპეშა მიიღო: გერმანელ-უკრაინის ჯარები, როსტოვის აღების შემდეგ ყუბანისკენ მიდიან. განზრახული აქვთ მოსავლიან ადგილების ხელში ჩაგდება თავიანთ ანტიდემოკრატიულ მიზნებისთვის. ამხანაგებო ვისაც თოფი და პატრონები გაქვთ მზად იყავით მტერთან შესაბრძოლებლად.

ჩრდილო კავკასიის ჯარების მთავარ სარდლის მაგიერ მაცილევიჩი.

**კორნილოვის ჯარი ტიხორეცკაიასთან.**

ტიხორეცკის მიდამოებში კორნილოვის ჯარი გამოჩნდა.

**ზღვის პირის ქალაქების დაჭერა**

**პიატიგორსკი.** როსტოვის გარდა გერმანელთა და გაიდამაკელების ხელშია ბატაისკი, კერჩი, ანაპა და ტამანი.

**დერბენტის და პეტროვსკის აღება.**

**გროზნი.** გადმოგვცემენ, რომ ასტრახანიდან მოსულმა საბჭოთა ჯარებმა უკვე დაიჭირეს დერბენტი, პეტროვსკ-პორტი და ხასავი.

## შეთანხმების სახელმწიფოთა ულტიმატუმი.

„ედინენიე“, სწერს: ეკატერინოდარიდან გუშინ ჩამოსულ ოფიცერთა ჯგუფი გადმოგვცემს: ჩვენს წამოსვლის დროს ეკატერინოდარში ხარწმუნოდ ლაპარაკობდნენ, რომ დიდ ბრიტანეთმა, შეერთებულ შტატებმა, საფრანგეთმა, იაპონიამ და იტალიამ სახალხო კომისართა საბჭოს წარუდგინეს მოთხოვნილება, რომლის თანახმადაც მოკლე ხანში უნდით შეადგინონ მილიონნახევრიანი ჯარი, გააუქმონ ბრესტის ხელშეკრულება და ომი გამოუცხადონ გერმანეთს, რადგან იგი ფაქტიურად რუსეთს ეომება და უშუქვრის ისეთ ცენტრებს, რომლის დაპყრობასაც კოალიცია ვერ შეურიგდება. ხმების, კოალიცია დაჟინებით მოითხოვს, რომ ახალ ლაშქრის ორგანიზაცია ჩაჰბარდეს ალექსეევს, ლეჩიცკის, დენიკინს და კორნილოვს. ხმებია—ხსენებული პირნი დასთანხმდნენ ჯარის მოწყობა-ხელმძღვანელობაზე, მაგრამ პირობად დაუდეს, რომ გასამართლება და აგრეთვე ჯარისკაცთა სასჯელის სისრულეში მოყვანა მიენდოს უცხოთა სამხედრო ძალებს. კოალიცია თავის ნოტაში აღნიშნავს, რომ ციმბირის სოციალისტური მთავრობა სარგებლობს კოალიციის საფინანსო და სამხედრო ძალების დახმარებით, ამიტომ ბოლშევიკურმა მთავრობამ ბლოკი უნდა შეჰკრას ციმბირის მთავრობასთან, რათა შესაძლებელი გახდეს საქმიან კაბინეტის შედგენა. წინააღმდეგ შემთხვევაში ციმბირის ლაშქარი კოალიციის ძალების დახმარებით მოსპობს ბოლშევიკურ მთავრობას. უკიდურეს შემთხვევაში კი რუსეთის დაყოფას შეუდგებიან.

სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ გერმანეთის მთავრობის და სახალხო კომისართა საბჭოს შორის მოსალოდნელია ახალი განხეთქილება. ამბობენ, რომ საბჭოთა მთავრობამ, რომელსაც მხარს უჭერს კოალიცია, გერმანეთს სასტიკი პროტესტი წარუდგინა ჰინდენბურგის იმ განცხადების შესახებ, რომლითაც იგი აღნიშნავს რუსეთის შუაგულში შეჭრის საჭიროებას, რაც უნდა განხორციელდეს დონსა, ყირიმსა და შავი ზღვის ნაპირებზე დამკვიდრებით. რა თქმა უნდა, სახალხო კომისართა საბჭოზე დიდი გავლენა იქონია ინგლისმა. დონში გერმანელების მიერ წარმოებული ოპერაციები მას მეტად აშინებს, რადგან ამით გერმანელები უახლოვდებიან ბაქოს ნავთს.

რადგან ბაქოს ნავთის დაკარგვა დაღუპავს რუსეთის მრეწველობას, შესწყვეტს რკინის გზების მოქმედებას და შეაჩერებს ვოლგაზე ნავოსნობას—სახალხო კომისართა საბჭომ, გადასწყვიტა მთელი თავისი ძალღონით დაიცვას ბაქო, ამ მიზნისთვის ძალებს ვოლგით ეადმოიყვანენ. („ედინენიე“).

## უკრაინაში

**რუსული გაზეთები**

კიევის რუსული გაზეთები ნახევარფურცლად გამოდის. გაფაციცებით დაეძებენ პეტროგრადის და მოსკოვის გაზეთებს. თითო ნომერში 30—40 მანეთს არ იშურებენ.

**საზავო დელეგაციის გამგზავრება**

მოსკოვიდან — კონსტანტინეპოლს. კიევში დღეს შემდეგ რადიოს ვგზავნით: შესაძლოა არ მივიდეს და გთხოვთ თქვენც გაგზავნოთ: მაისის 19 კიევში მოდის საზავო დელეგაცია. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატი გთხოვთ აღნიშნულ დროისთვის სადგურ კორენევოზე ვაგონები დაახვედროთ, აგრეთვე საჭირო დარაჯები თანახმად შეთანხმების მე 4ე პუნქტისა. სახალხო კომისარიატი გთხოვთ გვაცნობოთ საზავო დელეგაციისთვის დანიშნულ ბინის მისამართი გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი ჩ. ჩერინი.

## უცხოეთი

**პორტუგალიის ახალი პრეზიდენტი**

**ლისაბონი.** აპრილის 27. პორტუგალიის პრეზიდენტად დღეს საყოველთაო ხმის მიცემით პორტუგალიის რესპუბლიკის ახალ პრეზიდენტად აირჩიეს სიდ. პაესი. („ნაროდნოე სლ.“).

**გერმანეთი და ნეიტრალი სახელმწიფონი**

„მატენ“-ში ერთი ჰოლანდიელი დაბრუნდ. სწერს: პანგერმანული გაზეთები სწერენ: დადგა დრო, რომ ისეთ პატარა ქვეყნებმა, როგორიცაა ჰოლანდია და შვეიცარია, უნდა დაარღვიონ ნეიტრალიტეტი („ნარ. სლ.).

**გერმანეთი და პოლონეთი**

**ციურიხი.** აპრილის 27. გერმანეთის ერთი სამთო მრეწველთა ორგანო სწერს: გერმანეთის მთავრობამ გადასწყვიტა პრუსიას შეუერთოს დობროვის აუზის (პოლონეთში) მნიშვნელოვანი მადაროები. პოლონეთის დანარჩენი სამრეწველო ოლქები პოლონეთს რჩება იმ პირობით, რომ ეკონომიურ ხელშეკრულებით მიენიჭოს გერმანეთს კონტროლი მთელს პოლონეთის მრეწველობაზე.

**1 მაისი**

**პარიზი.** აპრილის 26. პარიზის მუშათა ორგანიზაციის ცენტრალ კომიტეტმა მოწოდებით მიმართა მუშებს, რომ 1 მაისი არ იდღესასწაულეთ, რადგან მათი სამშობლო ძნელ წუთებს განიცდის.

**ინგლისური პრესა გენ. ფოშის დანიშვნის შესახებ.**

„დეილი-ექსპრესს“-ი სწერს: ჩვენ მხურვალედ ვესალმებით გენერალ ფოშის დანიშვნას ხელი და ბრიტანეთის ლაშქარი სრული ნდობით შეხვდებიან მის დანიშვნას. ინგლისის მთელ ერთან ერთად ბრიტანეთის ლაშქარი ამაყობს იმით, რომ სამი თავისუფალი ერთვნება გერმანეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება.

**ინდოეთის შემსწავლი საზოგადოება.**

ბოლშევიკურ გაზეთ „მოლნიტა“-ს ცნობით (მოსკოვში გამოდის) გერმანელები აძლევენ „ინდოეთის შემსწავლელ საზოგადოებას“. ევროპის სახელმწიფოებში ამ ფაქტს სიმპტომატიურ მნიშვნელობას აწერენ.

**მემარცხენე სოციალისტის შეპყრობა.**

საფრანგეთში შეიპყრეს ცნობილი მემარცხენე სოციალისტი შარლ რაპოპორტი. იგი ეწეოდა აგიტაციას ომის წინააღმდეგ.

**პოლონელ ჯარების მთავარ სარდალი.**

პოლონელ ჯარების მთავარ სარდლად დანიშნეს გენერალ-გუბერნატორი გელერი.

**სავაჭრო აგენტი.**

მოსკოვიდან—ბერლინში მყოფ რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენელ იოფეს: „დღეს ჩვენ გერმანეთის დიპლომატიურ წარმომადგენელ მირბახს გადავეცით ოფიციალი ცნობა შესახებ იმისა, რომ რეველში რუსეთის რესპუბლიკის სავაჭრო აგენტად ინიშნება. რეველის სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარე სერგი ვლადიმერის-ძე კოვალევსკი, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი ჩიჩერინი.

**რუმინეთის ჯარების დემობილიზაცია**

ცენტრალ სახელმწიფოებს ხანგრძლივი მოლაპარაკება ჰქონდათ რუმინელებთან. საბოლოოდ ასე შეთანხმდნენ: რუმინეთის ჯარი თანდათანობით დაიშლება. დემობილიზაციის გეგმა გერმანელთაგანაა შემუშავებული. დარჩენილი ქვეითის რვა დივიზიაში ოცათასზე მეტი კაცი არ შეიძლება შედიოდეს, ცხენოსანში კი 3,200 კაცი შეუძლიათ იყოლიონ, შესაფერი არტილერიით. ბესარაბიაში მყოფი დივიზია, თუ დემობილიზაცია საჭირო შეიქმნა, თანდათანობით შემცირდება. რუმინეთის საჭიროებათათვის შედგენილი იქნება ოთხი ქვეითა ჯარის პოლკი და 2 ცხენოსანთა პოლკი, შესაფერი არტილერიით. სამხედრო სამსახურის ვადა აქ ისეთივე იქნება, როგორც მშვიდობიანობის დროს. არავითარი მანევრები არ შეიძლება მოხდეს, ვიდრე არტილერია, ტყვიისმფრქვევლები, თოფები, ცხენები, საბარგოები და ამუნიცია სხვა და სხვა კორპუსების დაშლის შემდეგ არ გარდაეცა შესანახად ცენტრალ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს. დაპყრობილ ადგილებში ეყრდნობიან რუმინელი ჯარისკაცები ცენტრალ სახელმწიფოთა წიერ დანიშნულ კაცების ხელმძღვანელობით. მოლდავიაში მყოფი ჯარისკაცები მიიღებენ არა 250 პატრონზე მეტს თვითეულს ტყვიისმფრქვევლზე და 150 ყუმბარას, თვითო ზარბაზანზე. ბესარაბიაში მყოფი ჯარები შესაფერს იარაღს მიიღებენ. განთავისუფლებულ ჯარისკაცებს და ოფიცრობას შეუძლიათ სამშობლოში დაბრუნება.

**პარლამენტის წევრების შეპყრობა.**

**ლონდონი.** (ურიცხვოდ). ოფიციალად იუწყებიან პარლამენტის მრავალ წევრების შეპყრობას. მათი შეპყრობა მოხდა დილა ადრიან. წესიერება ქალაქში არ დარღვეულა.

## გერმანეთის სამხედრო მინისტრის წარმომადგენელთან საუბარი

ფრიად საგულისხმიერო საუბარი ჰქონია გაზ. „ედინენიეს“ თანამშრომელს გერმანეთის სამხედრო მინისტრის წარმომადგენელ კაიზერთან. მოგვყავს ნაწყვეტი საუბრისა:... არის რაიმე მიზეზი, რომ გერმანეთი ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობას იცნობს?

— ბათომში ჩვენს წარმომადგენელთა შორის გარკვეული ნათქვამი იყო, რომ გერმანეთის მმართველი წრეები მომხრენი არიან ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობისა. მეც ვიმედოვნებ, რომ დამოუკიდებლობას იცნობს გერმანეთი.

— იქნებ გერმანელთა დელეგაციის მონაწილეობა საზავო მოლაპარაკებაში ნიშნი იყოს იმისა, რომ მან უკვე იცნო ეს დამოუკიდებლება?

— ლოგიკურად, დიახ, რომ იცნო. მაგრამ საერთაშორისო პოლიტიკაში თავისებური ტრადიციები არსებობს, რომ ამა თუ იმ ქვეყნის დამოუკიდებლობა ოფიციალი სახით იყოს დადასტურებული. საკითხი ისეა წამოყენებული, რომ რადგანაც გერმანეთი მარტოდ არ მოქმედებს და თან ჰყავს მოკავშირეები, ოსმალეთი, ბულგარეთი თუ ავსტრო-უნგრეთი, ოფიციალად განკერძოებით ვერ დასცემს დასტურს მათთან შეუთანხმებლად.

— შეიძლება ვიიმედოთ, რომ გერმანეთი დაეხმარება ამიერკავკასიას ოსმალეთთან ზავის ნაწილობრივად დაგვირგვინებაში?

— ვფიქრობ, რომ ეს ასე იქნება. გერმანეთი ყოველმხრივ ეცდება, რომ საქმე ნაწილობრივად დამთავრდეს. მაგრამ იგი ამ შემთხვევაში მეტად ფრთხილად იქნება, მრავალ მიზეზებისა გამო.

— ჟურნალ-გაზეთებში ცნობა იყო დაბეჭდილი, რომ გერმანელები როსტოვიდან განდევნეს. გაქვთ რაიმე ასეთი ცნობა?

— ოფიციალი ცნობები გერმანულიდ უწყებით არა მაქვს, ვინაიდგან გერმანელებს როსტოვი აიღეს. ამის შესახებ პირველი ამბავი ისეც რუსულ გაზეთებში ამოვიკითხე. ვფიქრობ, თუ მართლა გერმანელებმა როსტოვი აიღეს, იქიდან ბოლშევიკები ვეღარ გამოსდევნიან.

— იქნებ რაიმე დანამდვილებითი ამბავი იცოდეთ გერმანელთა მიერ ნოვოროსისკის აღების შესახებ?

— არავითარი ოფიციალი ცნობა არა მაქვს.

— რას ჰფიქრობთ დასავლეთ ფრონტზე მიმხდარ უკანასკნელ ომის შესახებ?

— მდგომარეობა, თქმა არ უნდა, მეტად მტკიცეა, ქვეითა ჯარისა და არტილერიის უპირატესობაში გერმანელთ ვერ უსწრობენ ფრანგ-ინგლისელები.

— როგორ ჰფიქრობთ, მალე გათავდება ეს ომი?

— გერმანეთში ჰფიქრობენ, რომ ამ მიმდინარე წელს უსათუოდ დამთავრდება.

— რომელ ფრონტზე უნდა გათავდეს, თქვენის აზრით, ეს ომი?

— რა თქმა უნდა, დასავლეთზე. ზოგიერთი პოლიტიკოსის აზრი, ვინაიდგან საკითხის გადაწყვეტა აღმოსავლეთზე იყოს დამოკიდებული, შემცდარია. რანაირი მიზანიც არ უნდა ჰქონდეს ამ ომს, რანაირი კომბინაციებიც არ უნდა გაუკეთონ „ინდოეთის გზას“, კრიზისის დასამთავრებლად აღმოსავლეთში გაჭრა ტექნიკურად შეუძლებელია მებრძოლ მხარეთათვის. ამით იმის თქმა არ მინდა, ვითომც შეუძლებელი იყოს გერმანელ-ინგლისელთა შეტაკება სპარსეთში. „Drang nach Osten“-ი პირდაპირ ამ სიტყვის ლიტერატურულ მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ.

— როგორ უყურებთ იაპონიის გამოსვლას? ხომ ჩრდილოეთისკენ არ უნდა ჰქონდეთ გეზი დაჭერილი?

— მე ვფიქრობ, რომ იაპონელთა გამოსვლას უფრო ვიწრო მიზანი აქვს დასახული. იგი დაკმაყოფილდება მასთან მდებარე ციმბირის მახლობელ ადგილების დაჭერით... ჩრდილოეთისკენ იაპონელთა მოძრაობა ეხლა წარმოუდგენელია ტექნიკური მოსაზრებით.

— რამდენად სერიოზულია ხმები იაპონელთა მიერ დესანტის გადმოსხმის შესახებ სპარსეთის ყურეში?

— ეს უფრო ნაკლებ სერიოზულია, ვიდრე ის, რომ ეთქვათ, იაპონელებმა მოსკოვისკენ გაილაშქრესო.

რა საქონლის მოწოდება შეუძლია გერმანეთს ზავის შემდეგ?

— სამიწადმოქმედო იარაღი, სალაროები და სხვა ქიმიური ნივთიერება, მედიკამენტი, ქირურგიული ნივთები, ქაღალდი და სხვა. ფეხსაცმელს და ტანისამოსს ეხლა ვერ მოგცემთ, იმიტომ, რომ ნედლი მასალა ჯერ არა გვაქვს.

— რა გაინტერესებთ კავკასიაში?

— უწინარეს ყოვლისა ჩვენ გვინდა შავი ქვა და ბამბა, შემდეგ ბრინჯი და ჩირეულობა.

— ნავთი?

— ნავთი საკმაოდ მოგვდის რუმინეთიდან და გალიციიდან. ნავთი ეხლა უფრო თურქებს ეჭირვებათ, ვიდრე ჩვენ.

— რა ჰღირს ეხლა რუსული მანეთიანი გერმანეთში?

— მანეთში 56 პფენიგს აძლევენ“...

## მთავრობის სხდომა.

**18 მაისი.**

მთავრობამ დაადგინა: 1) ფინანსთა მინისტრმა სთხოვოს სეიმის საფინანსო კომისიას მისცეს ცნობები იმის შესახებ თუ აქამდე როგორ განაწილდა ფული პარტიების ხაზინათა შორის.

2) ფულით დაეხმაროს თელავის და სიღნაღის მაზრებს.

3) მთავრობამ სეიმს უნდა წარუდგინოს თავისი პროექტი ფინანსიურ გეგმისა და ღონისძიებათა.

4) სეიმის საფინანსო კომისიას დაევალოს თავისი დასკვნა გამოიტანოს პროვინციაში ფულის განაწილების შესახებ.

## ქრონიკა

**თბილისი.**

◆ **მთავარი კომიტეტის კრება.** დღეს ნაშუადღევის 2 ს. შესდგება ს. ერ.-დემ. პარტიის მთავ. კომიტ. კრება. განსახილველია საჭიროფო საკითხები. ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

◆ **გაზეთ „საქართველოს“ სარედაქციო კოლეგიის** კრება დანიშნულია დღეს 1 საათზე.

◆ **ქალაქის მილიციის უფროსის განცხადება.** თბ. ქალაქის მილიციის უფროსი აცხადებს, რომ გოლოვინის პროსპექტზე, 17 მაისს ღამით მომხდარ სროლის შესახებ მკაცრი გამოძიება სწარმოებს. ვიდრე გამოძიება დასრულდებოდეს, ნურც გაზეთებში და ნურც საზოგადოებაში ნუ ავრცელებენ ისეთ ხმებს, რომელთაც სინამდვილესთან არავითარი კავშირი არა აქვს. ამ ხმებს ხშირად პროვოკაციული ხასიათი აქვს, მორონტი განზრახვა, რომ ეროვნებანი ერთმანეთს გადაჰკიდონ. თუ ვისმეს რაიმე ცნობის სინამდვილის გაგება ჰსურს, მან უნდა მიჰმართოს მილიციის უფროსის თანაშემწეს ი. გ. პ...ლიეეს.

◆ **კულტურის და შრომის კავშირის** (ყოფილ ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების) ახალი წესდება დამტკიცა თბილისის საოლქო სასამართლომ. ახალი კავშირი აშენებულია პაების სისტემაზე. თითო პაი ღირს 100 მანეთი. ნამდვილმა წევრმა (ვისაც კრებაზე გადამწყვეტ ხმის უფლება აქვს) უნდა შეიძინოს არა ნაკლებ სამის პაისა. დამხმარე წევრად ჩაითვლებიან ქართ. კულტ. მოყვ. საზ. დღევანდელი წევრნი, ვინც არ მოისურვებს პაის შეძენას, და აგრეთვე ისინი, ვინც დღეის იქით ჩაეწერება კავშირში და წლიურად გადაიხდის არა ნაკლებ 3 მანეთს, (ან ერთდროულად 50 მანეთს). პაიების ღირებულების გადახდა ნაწილ-ნაწილად შეიძლება. ვისაც სურს ნამდვილ წევრად ჩაირიცხოს, მან პაის ფულის ნაწილი მაინც უნდა გადაიხადოს ამ კვირას, რადგან კვირას, მაისის 26-ს (ახალის სტილით) დანიშნულია საზოგადო კრება გამგეობის ასარჩევად და სამოქმედო გეგმის შესადგენად. კრება იგი, როგორც მეორედ მოწვეული, კანონიერად ჩაითვლება მიუხედავად

დამსწრეთა რაოდენობისა. ფულის შეტანა შეიძლება ყოველ დღე, 12—2 ს. გაზეთ „საქართველოს“ რედაქციაში, გ. ქურდიანიასთან ან ვლ. ფხაკაძის შვილთან.

✦ **ტყვიბულის ქვა-ნახშირის მაღაროების დათვალიერება.** 9 მაის ტყვიბულის ქვა-ნახშირის მაღაროებში ქუთაისიდან გაემგზავრნენ ქართველ-ტექნიკურ საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წევრნი სამთო ინჟინრები: ა. ლორთქიფანიძე, გ. წულუკიძე და ა. ნეფსაძე საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგთან ი. სკლიაროვთან ერთად დაწვრილებით დასათვალიერებლად მაღაროების და მუშაობის მდგომარეობის, რომელიც არის დაკავშირებული სამხედრო-მრეწველობის კომიტეტის ლიკვიდაციასთან.

ამ ჟამად ზემო აღნიშნული საზოგადოების საბჭო ადგენს ვრცელ მოხსენებას მთავრობისთვის, რათა სასწრაფოდ იყოს მიღებული ზომები უწესოების წინააღმდეგ, რომელიც ეხლა მეფობს „ნახშირის“ მაღაროებში და რომელსაც შეუძლია სრულიად დაჰღუპოს მაღაროები. წინდა-წინ მოხსენება იქნება წაკითხული წევრთა საზოგადო კრებაზე ქუთაისის სახელმწიფო მმართველობის შენობაში 26 მაის, დილით 11 საათზე.

✦ **ოფიცერი ვიქტორ კონსტანტინეს ძე ჯიქია** ორი სამი თვის წინად მსახურებდა 505 სტარო-კონსტანტინოვის პოლკში და ირიცხებოდა ამავე პოლკის მეცხრე როტის უმცროს ოფიცრად.—ბათომის აღების წინ კი მსახურებდა ქართულ პოლკის შტაბში ბათომში თბ. ქუჩ. ვთხოვ თუ ვინმემ იცის მის შესახებ რამე, გვაცნობოს შემდეგი მისამართით: ბორჯომი, ქართველთა მე-11-ე მსროლელ პოლკის 1 ბათალიონის პრაპორჩიკ ა. ჯიქიას.

✦ **დელეგაცია ლტოლვილთა თაობაზე.** კარაკლისში მყოფ გუმბრელმა ლტოლვილებმა აირჩიეს დელეგაცია, რომელმაც უნდა იშუამდგომლოს ოსმალთა მთავარ სარდლის წინაშე ნება დართონ ლტოლვილებს თავის ადგილზე დაუბრუნდნენ.

✦ **მეეზოვეების დაპატიმრება.** თბილისის მილიციის უფროსმა ამ დღეებში დააპატიმრა 20 მეეზოვე ქუჩის დაუგველობისა და პოსტზე გამოუცხადებლობისათვის.

✦ **თავდასხმა ლტოლვილებზე.** სად. სანდარზე გადმოხვეწილთა მატარებელს ყაჩაღები დაესხნენ თავს, მოკლულია 3 კაცი.

✦ **ქართულ ხაზგაზვ-გალობის კურსები.** ძმ. კავსაძეებმა გახსნეს ქართულ სიმღერა-გალობის კურსები, მოკლე ხანში განზრახულია ქალთა გუნდის დაარსებაც.—ბინა ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის სკოლის შენობაშია.

## თელავი

✦ 7 მაისს გაიხსნა ქალაქის სააკადმყოფო მუდმივი საწოლებით, ამავე საავადმყოფოში გახსნილია სამშობიარო განყოფილებაც. ვისაც სიღარიბის მოწმობა აქვს, ქალაქის თვითმმართველობისაგან, საექიმო დახმარება და წამალი უფასოთ ეძლევა.

✦ 11 მაისს, თბილისიდან ჩამოვიდა ირ. წერეთელი და იმავე საღამოს ლექცია წაიკითხა.

✦ თელავში საწხედრო წესები გამოცხადდა. ხალხს მოუწოდებენ წესიერებისაკენ და სასტიკად იკრძალება ყოველგვარი უწესოება.

✦ **შემოწირულება.** ქართული უნივერსიტეტის გამგეობამ უნივერსიტეტის სასარგებლოდ მიიღო: 1) მთავრიშვილის და ამხანაგობის წიგნ. მაღაზიის გამოცემისაგან ნ. ს. ჯორჯიკიას ნაწარმოები: „სახელმწიფოებრივ დეცენტრალიზაცია“ (ავტონომია და ფედერაცია). 2) კ. დ. ლორთქიფანიძისაგან მის მიერ შეგროვილი 490 მან. 3) დუმბაძიშვილისაგან 36 მან. განსვ. კიტას ფონდის გასაძლიერებლად. და 4) დეკანოზის იაკობ და ექიმის ნიკოლოზ ფხაკაძეებისაგან ორასი მან. (200 მ. ნ.) ქ. ერევნიდან. ქართული უნივერსიტეტის გამგეობა უღრმეს მადლობას სწირავს შემომწირავლთ.

## სოხუმის აღება

თბილისის აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ საზოგადო წესრიგის კომისიამ მაისის 19 სოხუმიდან დეპეშა მიიღო, რომ წითელ გვარდიის რაზმმა ჯულელის და პოლკ. კონჯის ხელმძღვანელობით აიღო ქ. ხოხუმი. ბოლშევიკებს იარაღი აჰყარეს; ხელთ იგდეს 11 ზარბაზანი, 21 ტყვიისმფრქვეველი, დიდძალი იარაღი, სურსათი და წამოიყვანეს 500 ტყვე. წითელ გვარდიელებს მოუკლეს 1, დაჭრილია რამდენიმე კაცი. ჯულელი და კონჯი ცოცხალნი არიან.

## კონვენცია ტყვეების გაცვლის შესახებ

ამიერ კავკასიის საზავო დელეგაციამ 15 მაისს მინისტრთა თავმჯდომარის დავალებით ოსმალთა მთავარსარდალ ვეხიბ-ფაშასთან შემდეგი კონვენცია შეჰკრა სამხედრო ტყვეების გაცვლის შესახებ, საზავო მოლაპარაკების შედეგის დამოუკიდებლად. ამის გამო გენ. ოდიშელიძემ მთავრობას სთხოვა: 1) სასწრაფოდ შეატყობინოს მას დეპეშით, რომ ვეხიბ-ფაშას აცნობოს ამიერკავკასიაში მყოფ ტყვე ოსმალთა რიცხვი და აღნიშნონ მათი სამყოფი ადგილები. 2) ეხლავე მოაწყონ ოსმალო ტყვეების გზავნა პირდაპირ ბათუმში; პირველი მატარებელი ტყვეებით 22 მაისამდე უნდა მოვიდეს ბათუმში პირველ რიგში უნდა გაიგზავნოს გუმბრის რაიონის სამხედრო ტყვეები, თბილისამდე ამათი მოგზაურობა უნდა უზრუნველ ყოფილი იქნენ, 3) ჩვენი სამხედრო ტყვეები იმავე მატარებლებით წამოვლენ ბათუმიდან, რაც ეცოდინება მატარებლის უფროსს, 4) ყველა სამხედრო ტყვეებს უნდა მიეცეს ბათუმამდე სამყოფი სურსათი. ჩვენს სამხედრო ტყვეებს ოსმალონი თბილისამდე სამყოფ სურსათს მიცემენ. ტყვეებს თან უნდა გამოაყოლოთ მათი სია, ჩვენი ავადმყოფების გადმოსაზიდათ ბათუმიდან ეხლავე უნდა შედგინოთ სანიტარული მატარებელი 200 კაცისთვის, ამ მატარებლის გამოგზავნის დღეს ცალკე შეგვატყობინებთ, 6) ეხლავე უნდა გამოარკვიოთ რამდენია ამიერკავკასიაში ავადმყოფი ტყვე ოსმალო, 7) ყველა ტყვე ოსმალებმა უნდა გაიარონ ნავთლუღის საევაკუაციო პუნქტი, ესენი უნდა აბანაონ და დეზინფექცია უნდა უყონ, ასევე მოიქცევიან ჩვენ ტყვეებს ბათუმში, 8) სამხედრო ტყვეთა გაცვლა სულ მოკლე ხანში უნდა მოხდეს, რათა ჩვენი ტყვეები რაც შეიძლება მალე დაბრუნდნენ ოსმალეთიდან.

## თერგის სახალხო საბჭოში

თერგის ოლქის სახალხო საბჭოს სხდომაზე ცხარე სიტყვა წარმოსთქვა ჩეჩენ-ინგუშთა ფრაქციის წარმომადგენელმა, შერიფოვმა.

„ჩრდილო კავკასიის მთიულები 30 წელი ებრძოდნენ ყველა ქვეყნის იმპერიალისტებს. ამ ჟამად ჩვენ ახალი განსაცდელი გველის. ეს განსაცდელი ჩვენ შამილის რაინდულ დროს მოგვაგონებს.

მე-17-ე საუკუნიდან დაწყებული დღემდე კავკასიაზე თვალი ოსმალეთს ეჭირა. ამავე დროს რუსეთი ცდილობდა თავისი ბატონობა განემტკიცებინა კავკასიაში ჯერ ისევ იოანე მრისხანეს დროს. რუსეთი კავკასიაში თერგის ყაზახებს გზავნიდა. ოსმალეთი ვერ ურიგდებოდა კავკასიის რუსეთის მიერ დაპყრობას. ისტორია მოწმეა კავკასიის რუსეთთან, რუსეთის ოსმალეთთან და საქართველოსთან დაურთველი ბელ ომისა. კავკასიის სხვა და სხვა ტომებმა ვერ შეიგნეს საერთო ინტერესები და ამიტომ ჩაცვივდნენ რუსეთის ხელში. ამ ჟამად ჩვენ უნდა მოვაგონოთ ყველას, რომ ჩაჩნებმა და ინგუშებმა არ იცოდნენ წოდება და რასა. შამილს თუ მისდევდნენ, იმიტომ, რომ ინსტიქტიურად გრძნობდნენ იმ საშინელებათ, რომელიც არ ასცდებოდათ, თუ მათ დაიპყრობდნენ. ამ ბრძოლაში ყუმისელი თავადები რუსეთს დაეხმარნენ. ჩვენ შორის გამორეულ მოღალატეებმა ყუმისელ თავადების და რუს გენერლების დახმარებით დაამარცხეს შამილი და ომი იმით გათავდა, რომ ჩვენ შორის დაიწყო ერთგვარი ბუნებრივი შერჩევა, მთიელების ოსმალეთში გადასახლება. გადასახლების დროს დაიღუპა 500 ათასი სამღე ჩერქეზი, მრავალი ჩაჩანი და ის ადგილები, სადაც უწინ ჩვენი ბაბულები იყო, იქ ყაზახები ჩასახლდნენ. იქ სადაც ეხლა სტანიცა ყარაბულაკია უწინ ყარაბულაკთა ტომი ცხოვრობდა. ეს იყო იმპერიალიზმის მწვე მასაზე გამარჯვების შედეგი.

ცხრამეტი წლის შემდეგ, ოსმალეთთან ომის დროს, შამილის შვილმა ოსმალეთიდან ჩაჩნებს ოქროს ასოებით დაწერილი პროკლამაცია გამოუგზავნა. ხალხს იგი აჯანყებისკენ მოუწოდებდა.

საჩინოს ნახევარს არ შეეძლო აჯანყება. აჯანყებულები კი სასტიკად დაამარცხეს. აულები ააოხრეს და ჩვენი სამკვიდრო წინამძღვარი რაინდები გროზნოში ჩამოახრჩეს ასე, რომ ჩვენ მათი საფლავებიც არ ვიცით. ჩვენს ძალას ფეხი წაუვიდა, რუსეთში კი ჩვენ გზადაგზა იმ მუშტს, რომელმაც ხერხემალი გადაგვიმტვრია. იმ აჯანყების დროს რუსეთიდან ჩვენსკენ საშინელი რეაქცია მოდიოდა ეხლა სხვა მდგომარეობაა რუსეთის რევოლუციის წყალობით ჩვენ მოგვეროგო ის თავისუფლება, რომლისთვის გულისთვის მთელი ას წლობით იბრძოდნენ ჩვენი წინაპარნი და დამარცხებულნი ხიშტებზე ეგებოდნენ. ეხლა როდესაც ჩვენ მივიღეთ თვით გამორკვევის უფლების გარანტია, ამ უფლებას ხალხი არავის შეალახვინებს. დღეს ჩრდილო-კავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ ლაპარაკობენ მემამულეები, თავადები, პროვოკატორები, შეიხები და ყველა ისინი, ვისაც შამილი სასიკვდილოდ ებრძოდა ოცდაათ-ათ წლის განმავლობაში. ამ ჟამად ეს ხალხის მტრები ცდილობენ გამოაცხადონ კავკასიის დამოუკიდებლობა და იმამობა შემოიღონ. მაგრამ, მე გიმტკიცებ, რომ ამ თავადების წინაპრებს შამილი თავებს ჰკვეთდა და ეხლაც ასე მოეპყრობოდა ცოცხალი რომ იყოს“.

ამ სიტყვის შემდეგ თერგის სახალხო საბჭომ გამოიტანა რეზოლუცია, რომელიც უკვე იყო ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი. შემდეგ ამისა შეიტანეს წინადადება, რომლის თანახმად უნდა გაეგზავნათ ბათომში განსაკუთრებული საგამომძიებლო კომისია იმის გამოსარკვევად, თუ ვინ აწარმოებდა მოლაპარაკებას ოსმალეთის მთავრობასთან თერგის მხრის სახელით.

ამ წინადადებამ დიდი კამათი გამოიწვია. ბათომში დელეგაციის გაგზავნაზე უარი განაცხადეს.

## თერგის მუშათა დეპუტატების საბჭოში

საბჭოს სხდომაზე „ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ“ მოხსენება გააკეთა თბილისიდან ჩამოსულმა მამულოვმა (სოც.-რევ.), მამულოვი მოუწოდებდა ერთ მთლიან ფრონტის შესაქმნელად და სახალხო ყრილობის მესამე სესიის მოწვევას მოითხოვდა. ერთი საათი ილაპარაკა სემიონოვმა (სოც.-რევ.) შეერთებულ სოციალდემოკრატების სახელით ილაპარაკეს: ყორენოვმა და ძეძიევმა, ბოლშევიკების სახელით—ყამალოვმა. შეტანილ იქმნა ორი რეზოლუცია პირველი სოციალისტ-რევოლუციონ. და შეერთებულ სოციალ-დემოკრატების სახელით.

**სოც.-რევოლუციონერების და დემოკრატების რეზოლუცია**

„ვინაიდან ამიერკავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებას შემდეგში ოსმალთა იმპერიალისტების ჩრდილოეთ კავკასიაში გამოლაშქრება მოჰყვება, და საფრთხის ქვეშ დგება არა მარტო რევოლუციით მონაპოვარი, არამედ რუსეთის ფედერატიული რესპუბლიკა, კავკასიის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო საჭიროდ სთვლის მოუწოდოს ყველა რევოლუციურ ძალებს შეერთებისკენ, რათა საერთო ძალებით დავიცვათ ოსმალთა ურდოებისაგან რევოლუციით და თავისუფლებით მონაპოვარი. თავდაცვის გეგმების სისრულეში მოსაყვანად მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო მიმართავს თერგის სახალხო საბჭოს განცხადებით, რომ საჭიროა მთელ ჩრდილოკავკასიის საბჭოების ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევა. ყრილობამ უნდა გადასწყვიტოს მთელ ჩრდილოკავკასიის რევოლუციურ ძალების შეერთება განმტკიცების საკითხი. მანვე უნდა მიიღოს ყოველივე ზომები სახალხო ლაშქრის მოსაწყობად.

**ბოლშევიკების ფრაქციის რეზოლუცია.**

კავკასიის მუშათა დეპუტატების საბჭომ, მოისმინა რა მამულოვისა და ქავთარაძის მოხსენებანი ამიერკავკასიაში მომხდარ ამბების და ჩრდილოკავკასიის რუსეთიდან გამოყოფის შესახებ,—დაადგინა:

საბჭო სასტიკ პროტესტს აცხადებს იმ დამღუპველ პოლიტიკის შესახებ, რომელსაც აწარმოებენ სოციალ-დემოკრატი მენშევიკები, რაც გამოიხატა ამიერკავკასიის დემოკრატიის რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკიდან გამოყოფაში. საბჭო სასტიკ პროტესტს აცხადებს იმ ავანტიურისტების მოქმედების შესახებ, რომლებიც მოლაპარაკებას აწარმოებენ ოსმალეთთან და ამის გამო ჩრდილოკავკასიის დემოკრატია გამოყვეს რევოლუციურ რუსეთიდან გამოაცხადეს რა იგი დამოუკიდებლად.

ბოლშევიკების რეზოლუციას ხმა მისცეს 40 კაცმა სოციალ.-რევ. რეზოლუციას 39.

## თბილ. გუბ. სახალხო სკოლების კომისიის განცხადება

თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების მმართველი კომისიის სახელობაზე მოდის საჩივრები სახალხო მასწავლებლებისაგან თავ-თავის დროზე ჯამაგირების მიუღებლობის შესახებ.

ყოველ თვე მთელი გუბერნიის სახალხო სკოლების მასწავლებელთათვის კომისია თავის დროზე იწერს ჯამაგირებს, მიუხედავად ამისა, ბევრ ადგილას მასწავლებლებს წარსული თვეების ჯამაგირიც არ მიუღიათ ფულის უქონლობის გამო. სამწუხაროდ, ამ დაბრკოლებასთან ბრძოლაში კომისია უძლურია. ფულის უქონლობას მწვავედ ჰგრძნობენ არა მარტო პროვინციაში, არამედ თვით თბილისშიაც: მთავრობის დაწესებულებათა ბევრ მოხელეს, მათ შორის კომისიის ზოგიერთ წევრებს, ჯერ რაც არ მიუღიათ წარსული თვეების ჯამაგირი.

მიუხედავად ამისა კომისიის თავმჯდომარემ პირადად ინახულა სახალხო განათლების მინისტრი და აუწერა სახალხო მასწავლებლების უკიდურესი გაჭირვება. სახალხო განათლების მინისტრმა მხარი დაუჭირა კომისიის შუამდგომლობას და წარუდგინა იგი ფინანსთა მინისტრს განკარგულების მოსახდენად, რომელმაც, მართლაც, დაგზავნა წინადადება პროვინციის ხაზინებსა და ფოსტის განყოფილებებში—უპირველესად სახალხო მასწავლებელთა დაკმაყოფილების შესახებ.

კომისიის თავმჯდომარე ბ. ჩარექიშვილი, მდივანი ვ. ჯაფარიძე.

## წერილი ბაღდადიდან

ბაღდადს ერთი ბედნიერება მოესწრო: როგორც იქნა სიწყნარე ჩამოვარდა და აღარ გაისმის გამუდმებული ჰახა-ჰუხი თოფებისა და რევოლვერებისა. ცხადია კი, რომ ეს არ აიხსნება გაბოლშევიკებულ ჯარის კაცების ჰკუაზე მოსვლით ან გაკეთილშობილებით ამის მიზეზი, როგორც ყველგან, იარაღის ძალა არის. ორი კვირის წინად აქ ჩამოვიდა ქართული პოლკი და ამ პოლკის კომანდირის პოლკოვნიკ სოსელიის გამჭრიახმა ჭკუამ და ჯარში დისციპლინის აღდგენამ ქალაქს, მოხერხდა ყოველგვარ ხულიგნებსა და გაბოლშევიკებულ ჯარის კაცებს. რამდენიმე ამ პოლკის აქ დაბანაკებამდე სრული ანარქია სუფევდა, იმდონად დღეს, მე—№ პოლკის ჩამოსვლამ საუცხოვო წესიერება დაამყარა. სოსელიმ ბრძანება გამოსცა და ამ ბრძანების მრავალი მუხლი უკვე სისრულეში მოიყვანა, ახლო-მახლო სოფლებში მან დაგზავნა პოლკის ნაწილები და იარაღი დააყრევინა ყველას. სამიკიტნოები დახურულია, ეხლა ლოთ კაცს დღეს ბაღდადში სანთლითაც ვერ მოსძებნით. ჯარი თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებს. სამეცადინოთ ყოველ დანიშნულ ვადაზე გადის, დარწმუნდებით, რომ თუ ასე გაგრძელდა, მაშინ ერთი სამი ამისთანა პოლკი და საქართველო სამედო ჯარს იყოლიებს. მართალია დეზერტირობა მოიკლებს რამდენიმე მუხთალმა ჯარის კაცმა, მაგრამ სასტიკმა ზომებმა ისინი გონს მოიყვანა. ამის შემდეგ გასაკვირი არ არის, თუ ბაღდათელები სოსელის ღმერთს ლოცვილობენ და მის ხელქვეით პოლკს ყოველგვარ დახმარებას უწევენ. წინად თუ ჯარის კაცის მაზარა ხალხის საფრთხობელა იყო დღეს ასე აღარ არის. ახსოვდეთ ჩვენი ერის მესვეურებს, რომ ამ დღეებს ბაღდათი არ ეღირსებოდა, წინანდებურად რომ ჯარის კაცთა და მუშათა საბჭოები ან კომიტეტები ბატონობდნენ და სამხედრო საქმეებში ერეოდნენ.

აქვე აღსანიშნავია, რომ ჯარისკაცებში პარტიობაზე ლაპარაკს ვერ გაიგონებთ, რამაც მეტად შეუწყო ხელი პოლკის საქმეების მოგვარებას.

სასურველი იქნებოდა, რომ ქუთაისის საზოგადოება დაეხმარებოდეს პოლკს წიგნებით და გაზეთებით, მით უმეტეს, რომ აღგილობრივ ასეთ რამეს ვერ ეღირსები და უგაზეთობის გამო კაცი სრულიად მოწყვეტილი ეჩვენება საკუთარ სახელმწიფოს საქმეების ვითარებას. რადგანაც წესიერების მხრივ ბაღდადი უზრუნველყოფილია, იმდენად საშინელია ბაღდათელების მდგომარეობა მისვლა მოსვლის საქმის გაუწყობლობით. დილიჟანები დადიოდნენ ქუთაისსა და ბაღდათს შორის, მაგრამ ცხენების მობილიზაციამ საქმე შეაფერხა. კვირაში ორჯერ თუ წავა დილიჟანი, ისიც სულზე 20 მანეთს ახდევინებენო, გადამხდელს. ეს ხომ შეუძლებელია კაცისთვის. საჩქარო საქმისათვის მიმავალი იძულებული ხდება 27 ვერსის მანძილი ფეხით გაიაროს. მეტად სასურველი და სასარგებლო იქნებოდა, თუ იკისრებდა ჩვენი მთავრობა მისვლა-მოსვლის საქმის მოწესრიგებას რკინის გზის გაყვანამდე, მით უმეტეს, რომ რკინის გზის გაყვანის დაწყება მოწმობს, რამდენად მნიშვნელოვანი ცენტრია ბაღდათი. ეს აქ მდგომი პოლკის უზრუნველ ყოფისათვისაც დიდად სასარგებლო იქნებოდა. რაც მალე მოწესრიგდება ეს საქმე, მით უფრო წინ წავა ბაღდათის კულტურულ-ეკონომიურად აღორძინების საქმე.

ჯარის კაცი.

## გლეხის ჩივილი!

ვინც კი დაახლოებით გაეცნობა გლეხის ეხლანდელ მდგომარეობას, დარწმუნდება, რომ ნამდვილ ტრაგედიას წარმოადგენს იმისი გამოურკვეველი მდგომარეობა! იგი ეხლა თანდათან ერკვევა და დამფრთხალი, თვალებ გაფაციცებული დაეძებს მედლიანს და პატრონსა ადამიანს, რომ ის გამოიყვანოს დაუსრულებელი ბურუსიდან. ის იმვიანი გახდა და ადვილად ადარებს უჯერებს. ვინაიდან მას ეხლა უკვე აღარ სწამს რომ ის იცილავს, იმ ედემის წალკოტს, რომელსაც უხატავდნენ მას ყოველის მხრიდან მისი არა მკითხე პატრონები. ამის ნაცვლად ის დღეს ხედავს სრულს განადგურებას. ერთი სიტყვით გლეხობა დიდს გამოურკვევლობასა და საფრთხეს განიცდის და თან და თან სასოწარკვეთილებას ეძლევა. იგინი რწმუნდებიან, რომ მოტყუებულნი შეიქმნენ იმ ფანტაზიორების წყალობით, რომლებმაც დაიმონავეს მათი განუვითარებელი გონება...

სოფელში ყოფნის დროს სააღდგომოდ, ჯოჯოხეთი წარმომადგენ აღდგომის მეორე დღეს მომიხდა სტუმრად ყოფნა ერთს ღარიბ საცხლ გლეხის ოჯახში, სადაც ჩვეულებისამებრ სხვებიც იყვნენ მისალოცავად, მ ლოცვის შემდეგ გამართა ჩვეულებრივი ნადიმი და სადღეგრძელოები, ამას მოჰყვა ბაასი ხალხის ეხლანდელ ჭირვარამზე, მიწის საკითხის შესახებაც, სურდათ გაეგოთ, რანაირად არის დაყენებული ჩვენში მიწის საკითხი, რაც სამწუხაროდ, მე როგორც არა სპეციალისტმა, ვერ შევსძელი სავსებით მათი დაკმაყოფილება, თუმცა ავუხსენი ცოტათი, რომ ისინი მიწას იმ საზომით ვერ მიიღებენ, როგორიც მათ ჰქონდათ დაპირებული. ამას ეხლა თვითონ გლეხებიც ჰგრძნობენ და თანდათან ერკვევიან ბურუსიდან. ამიტომ არიან ისინი დღეს ეჭვით შეპყრობილნი, რომ მოსტყუვდნენ!

ერთი გლეხთაგანი შემეკითხა:

